



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

პუბლიკაციები, საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოები

ფისკალური შეზღუდვები

თეორიული ასპექტები და
საერთაშორისო გამოცდილება

გიორგი ჩაკვეტაძე

სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი

ფისკალური შეზღუდვები: თეორიული ასპექტები და საერთაშორისო გამოცდილება

მომზადებულია გიორგი ჩაკვეტაძის მიერ

ნოემბერი, 2013 წელი

შენიშვნა:

პუბლიკაციაში ასახული მოსაზრებები ეყრდნობა ავტორის სუბიექტურ მსჯელობას და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალური პოზიცია ან შეფასება

| | |
|-------------------|---|
| თემატიკა | ფისკალური მდგრადობა, ფისკალური ლიმიტები |
| ავტორის ელ-ფოსტა: | g.chakvetadze@iset.ge |

ფისკალური შეზღუდვები:

თეორიული ასპექტები და საერთაშორისო გამოცდილება

შესავალი

საბიუჯეტო პროცესის ეფექტიანი მართვის თანამედროვე პრაქტიკაში ფისკალური შეზღუდვები ერთ-ერთ ფართოდ აპრობირებულ და გამოცდილ მექანიზმად ითვლება. აღნიშნული მექანიზმების აქტუალობის მიუხედავად, არსებული გამოცდილება ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერ იძლევა ამ მექანიზმების წარმატებასა და მათ განმაპირობებელ ფაქტორებზე. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა 2008 წლის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის თანმდევი ფისკალური შედეგების, მათ შორის, რიგი სახელმწიფოებისათვის სახელმწიფო ვალის კოეფიციენტების მასშტაბური ზრდის გათვალისწინებით, რამაც, თავის მხრივ, წამოჭრა უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების როლის ზრდის აუცილებლობა ფისკალური მდგრადობისა და ფისკალურ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგის მიმართულებით. ფისკალური შეზღუდვები მოქმედებს საქართველოშიც, კერძოდ, 2011 წლის ივლისში დამტკიცებული „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ საკანონმდებლო წესით ადგენს ბიუჯეტის დეფიციტის, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამური მოცულობის და მთლიანი სახელმწიფო ვალის შეზღუდვებს მშპ-სთან მიმართებაში. რამდენადაც ეფექტიანი ფისკალური შეზღუდვები შესაძლოა მიჩნეულ იქნას ფისკალური კონსოლიდაციის, რესურსების რაციონალური განაწილების და შესაბამისად, ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, მოცემული პუბლიკაცია მიმოიხილავს ამ მიმართულებით ძირითად თეორიულ ასპექტებსა და საერთაშორისო გამოცდილებას.

ფისკალური შეზღუდვების განსაზღვრება, როლი და ტიპები

ფისკალური შეზღუდვები წარმოადგენს ფისკალური პოლიტიკის გრძელვადიან შეზღუდვას გამოსახულს საბიუჯეტო აგრეგატების რაოდენობრივი ლიმიტებით, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ფისკალური პოლიტიკის მდგრადი ჩარჩოს ჩამოყალიბებასა და კონკრეტული საბიუჯეტო აგრეგატის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრისათვის საოპერაციო

სახელმძღვანელოს/ მეთოდოლოგიის შემუშავებას. ფისკალური შეზღუდვების მიზანია არასწორად ჩამოყალიბებული ფისკალური სტიმულების კორექტირება და შეზღუდვების დაწესება, რაც, თავის მხრივ, ფისკალური დისციპლინისა და საშუალოვადიანი მდგრადობის წინაპირობაა (fiscal responsibility and debt sustainability).

მიზნობრივი საბიუჯეტო აგრეგატის მიხედვით განსხვავებენ 4 ძირითადი ტიპის ფისკალურ შეზღუდვას. თითოეული ტიპისათვის მახასიათებლები განსხვავებულია მათი მიზნების, ოპერაციული ასპექტებისა და გამჭვირვალობის ხარისხის მიხედვით:

- **ბიუჯეტის ბალანსის შეზღუდვები** უზრუნველყოფენ მშპ-სთან მიმართებაში ბიუჯეტის ბალანსის კონტროლს. აღნიშნული ლიმიტები ძირითადად ემყარება სამი ტიპის ბალანსს: მთლიან, სტრუქტურულ¹ ან ციკლურად² მორგებულ ბალანსს. ბალანსის შეზღუდვების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს "ოქროს წესის" ტიპის შეზღუდვები, რაც ითავლსიწინებს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების მიზნობრიობის განსაზღვრას ინვესტირების და არა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და როგორც წესი, განსაზღვრავს წმინდა კაპიტალური ხარჯების მთლიანი ბალანსის მიზნობრივ მაჩვენებელს.
- **ვალის შეზღუდვები** განსაზღვრავს მაქსიმალურ დასაშვებ დონეს ან მიზნობრივ მაჩვენებელს მშპ-სთან მიმართებაში, რაც ვალის მდგრადობის უზრუნველყოფას ემსახურება. თუმცა როდესაც ვალი მაქსიმალურ დასაშვებ დონეზე გაცილებით მცირეა, შეზღუდვების ეფექტიანობა მცირდება.
- **ხარჯებზე განსაზღვრული შეზღუდვები**, როგორც წესი, ადგენენ ლიმიტებს მთლიანი, პირველადი ან მიმდინარე ხარჯებისათვის. ასეთი შეზღუდვები, წარმოდგენილია როგორც აბსოლუტურ, ისე პროცენტულ გამოხატულებაში (მშპ-სთან მიმართებაში) და მათი მოქმედების პერიოდი, როგორც წესი, გრძელდება 3-დან 5 წლამდე. აღნიშნული შეზღუდვები შეიძლება ეფექტიანად იქნას გამოყენებული ფისკალური კონსოლიდაციის განსახორციელებლად.

¹ ფაქტობრივი ბიუჯეტის ბალანსი, ციკლური, ერთჯერადი და სხვა დროებითი კომპონენტების გამოკლებით. აჩვენებს ძირითად ტენდენციას ბიუჯეტის ბალანსში.

² ციკლურად მორგებული ბალანსი აჩვენებს ფისკალურ მდგომარეობას ეკონომიკის ნორმალური აქტივობის დროს, ციკლური მოძრაობების გარეშე გარეშე.

- შემოსავლების შეზღუდვები აწესებს შემოსავლების ქვედა ან ზედა ზღვრებს. იგი მიზნად ისახავს გადაჭარბებული საგადასახადო ტვირთის თავიდან აცილებას ან შემოსავლების ადმინისტრირების გაუმჯობესების ხელშეწყობას.

თანამედროვე პრაქტიკაში შეზღუდვების უმეტესობა გამოიყენება დეფიციტის ან ვალის ლიმიტების დასაწესებლად. ამ შემთხვევაში, დეფიციტისა და ვალის შეზღუდვების მთავარი მიზანი ფისკალური დისციპლინის დაცვაა. ისეთი სახის ფისკალურ შეზღუდვებს, როგორებიცაა, ხარჯვითი ნაწილისა და შემოსავლების შეზღუდვები, დამატებითი მიზნებიც გააჩნია: ბიუჯეტის გადასახდელების მუხლის სასურველი მიმართულებით აქცენტირება კონკრეტული ხარჯვითი კატეგორიების ზრდის ტემპის შენელებით, გადაჭარბებული საგადასახადო ტვირთის (excessive tax burden) თავიდან აცილება და მოულოდნელად მიღებული შემოსავლების განაწილების წინასწარ დაგეგმვა.

შეზღუდვებს, მახასიათებლებისა და “სიმკაცრის” მიხედვით, საბიუჯეტო შედეგებზე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გავლენა შესაძლოა ჰქონდეს. „ძლიერი“ შეზღუდვის (strong rule) დარღვევამ, შესაძლოა გამოიწვიოს უფრო დიდი პოლიტიკური ზიანი ვიდრე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობამ. „ძლიერი“ შეზღუდვები გამყარებულია ნორმატიული ბაზით, რაც ართულებს მათ შეცვლა-შესწორებას (გათვალისწინებულია კანონით ან კონსტიტუციით). აღნიშნული ლიმიტები შესრულების მონიტორინგი შესაძლოა განხორციელდეს პოლიტიკურად დამოუკიდებელი ორგანოს მიერ და ეროვნულ დონეზე შესაძლოა დაკავშირებული იყოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოს როლის ზრდასთანაც. **რაც შეეხება ფისკალური შეზღუდვების სასურველ მახასიათებლებს,** ესენია: სიმარტივე, გამჭვირვალობა, მოქნილობა, შესაბამისობა მის საბოლოო მიზანთან და თავსებადობა სტრუქტურულ რეფორმებთან.

გამოყოფენ რაოდენობრივ (numerical) და პროცედურულ (procedural reforms) ფისკალურ შეზღუდვებს. რაოდენობრივი ფისკალური შეზღუდვები ადგენენ საბიუჯეტო აგრეგატების რიცხვით ფორმაში გამოხატულ ზღვრებს ან მიზნებს. ეს არის მუდმივი შეზღუდვა ფისკალურ პოლიტიკაზე და წარმოადგენს ფისკალური შესრულების ერთგვარ შემაჯამებელ მაჩვენებელს. ცხადია, გამოირიცხება ის ზღვრები და მიზნები, რომლებიც ექვემდებარება რეგულარულ გადახედვებს, რაც ხშირად დამახასიათებელია ევროპულ ქვეყნებში

გავრცელებული საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჩარჩოსთვის (მაგალითად, ევროკომისიის 2007 წლის განხილვა ევროკავშირის ქვეყნებში საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჩარჩოს მახასიათებლების შესახებ(Kopits and Symansky, 1998)). რაოდენობრივი შეზღუდვები, როგორც წესი, ზემოთჩამოთვლილ ოთხი ტიპის ფისკალურ აგრეგატზე შეიძლება განისაზღვროს.

რაც შეეხება პროცედურულ შეზღუდვებს, აღნიშნული შეიძლება ეხებოდეს პროცედურულ ასპექტებს საჯარო სექტორის ფინანსების მართვის სისტემის სხვადასხვა საფეხურზე, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენა, მიღება და შესრულება. ეროვნულ დონეზე, ეს შეზღუდვები, როგორც წესი, უფლებამოსილებას უზრდის ფისკალური პოლიტიკის მაკოორდინირებელ ორგანოს (მაგ. ფინანსთა სამინისტროს), რათა მან უშუამდგომლოს მხარჯავ უწყებებს პარლამენტთან ბიუჯეტის მომზადების პროცესში და შესაძლოა შეამციროს საკანონმდებლო ორგანოს დისკრეცია, მაგ. მთავრობის მიერ წარმოდგენილ საბიუჯეტო განაცხადებში ცვლილებების შეტანის შეზღუდვით. პროცედურული შეზღუდვები შეიძლება იყოს იერარქიული (Hierarchical) და კოლეგიალური (collegial). იერარქიული შეზღუდვები ძირითად მხარჯავ უწყებებს მნიშვნელოვნად მეტ ძალაუფლებას აძლევს, ხოლო კოლეგიალური პროცედურების მიხედვით, ძალაუფლება უწყებებს შორის შედარებით თანაბრად ნაწილდება.

რაოდენობრივ და პროცედურულ შეზღუდვებს შორის არჩევანის გაკეთება შესაძლოა სხვადასხვა ფაქტორზე იყოს დამოკიდებული. **Von Hagen and Harden–ის (The Political Economy of the European Constitution) (1994)** მიხედვით, მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი არსებობს ქვეყნის ზომასა და მის მიერ არჩეული ფისკალური შეზღუდვის სახეს შორის: ევროკავშირის წევრი დიდი ქვეყნები, როგორებიცაა მაგალითად, საფრანგეთი და გერმანია, რომელთაც შედარებით წარმატებით შეინარჩუნეს ფისკალური დისციპლინა ოთხმოციან წლებში, ევროკავშირიდან სწორედ პროცედურულ შეზღუდვებს, ხოლო შედარებით მცირე ზომის ქვეყნები იყენებდნენ რაოდენობრივ შეზღუდვებს.

ფისკალური შეზღუდვების შესაძლო გვერდითი ეფექტები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფისკალური შეზღუდვები მიზნად ისახავს ფისკალურ პოლიტიკაში არსებული დეგრადირებული სტიმულების აღმოფხვრას. ასეთი სტიმულებისა და მასთან დაკავშირებული გაზრდილი ხარჯებით გამოწვეული შედეგები შეიძლება რიგ შემთხვევაში

დაკავშირებული იყოს პოლიტიკურ ციკლთან და მთავრობის დისკრეციულ გადაწყვეტილებებთან, რაც თავის მხრივ, შესაძლოა აქცენტს აკეთებდეს მოკლევადიან მიზნებზე, საშუალო და გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭირო ნაბიჯების ნაცვლად (Rogoff, 1990). ასევე, სავალუტო გაერთიანებების საერთაშორისო ფისკალურ შეზღუდვებს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს დაბალი ფისკალური დისციპლინის მქონე ქვეყნების მონეტარულ-ფისკალური პოლიტიკის კოორდინაციისთვის საჭირო ჩარჩოს შექმნაში.

თუმცა, ლიტერატურაში ხაზგასმულია გარკვეული წინააღმდეგობები, რომლებიც თავს იჩენს შეზღუდვებზე დაფუძნებულ ფისკალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით(Alesina and Perotti, 1999; Buti *et al.*, 2003; Debrun *et al.*, 2007). კერძოდ:

- რაოდენობრივი შეზღუდვები, კერძოდ, ბიუჯეტის ბალანსის შეზღუდვები, შესაძლოა გახდეს ხელის შეშლელი ფაქტორი ეკონომიკური ვარდნის დროს საჭირო ფისკალური სტიმულების ამოქმედების საჭიროებისას, თუ ეს უკანასკნელი დადგენილი ლიმიტების დარღვევას გამოიწვევს.
- შეზღუდვების მიერ დაწესებული დაბალი დეფიციტის და ამავდროულად, „სასურველი“ საგადასახადო განაკვეთების შესანარჩუნებლად, ხშირად საჭირო ხდება მთლიანი ხარჯების შემცირება, რაც ძირითადად, სახელმწიფო ინვესტიციების შემცირების ხარჯზე ხდება.
- შეზღუდვებმა შეიძლება გამოიწვიოს საბუღალტრო და არასაბიუჯეტო ოპერაციების გამჭვირვალების შემცირება – ე.წ. „შემოქმედებითი აღრიცხვა“ („Creative Accounting“). კერძოდ, რაოდენობრივი ლიმიტების დაწესება შეიძლება გახდეს ერთგვარი სტიმული ინფორმაციის არასრულყოფილად წარმოდგენის/დამალვის და კრიტერიუმების ნებისმიერ ფასად შესრულებისთვის. „შემოქმედებითი აღრიცხვის“ რისკი განსაკუთრებით მაღალია ვალების, დეფიციტისა და მდგრადობის პრობლემების პირობებში. თავის მხრივ, არასრულყოფილი ინფორმაცია რეალური ფისკალური მდგომარეობის შესახებ უარყოფითად აისახება მთავრობის გადახდისუნარიანობის სანდოობის ხარისხზე (Poterba, 1996).

თეორიულ დონეზე ასევე განიხილება ის გვერდითი ეფექტები, რომლებიც შესაძლოა ფისკალურ შეზღუდვებს ახლდეს თან:

- მდგრადი ფისკალური პოლიტიკის განხორციელების პროცესში მიუღებელია ისეთი შეზღუდვების გამოყენება, რომლებიც მიღებული იქნა ადეკვატური წინაპირობების ან საკმარისი პოლიტიკური ვალდებულების გარეშე. ამან შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ფისკალური დისციპლინის სანდოობაზე.
- ასევე, დეფიციტისა და ვალის შეზღუდვები რეცესიის პერიოდებში შესაძლოა პროციკული³ ხასიათის იყოს, რადგან გამოიწვიოს თავისუფალი მოქმედებების შეზღუდვა, აღმავლობის პერიოდში კი პირიქით, შესაძლოა, სრულად დაკარგონ ფუნქცია.
- ფისკალურმა შეზღუდვებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ფისკალური პოლიტიკის ხარისხზე, რადგან არ ახდენს საბოლოო ფისკალური მაჩვენებლების კორექტირებას. ეს კი, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის პერსპექტივაზე. ფისკალურმა შეზღუდვებმა შესაძლებელია ცვლილებები შეიტანოს დასახულ პრიორიტეტებში. მაგალითად, რიგ შემთხვევებში დეფიციტის ლიმიტის შესრულება მოითხოვს გრძელვადიან სტრუქტურულ რეფორმებზე უარის თქმას.

საერთაშორისო პრაქტიკა

ფისკალურ შეზღუდვებს დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა პერიოდში, ფედერაციული მოწყობის ქვეყნების ტერიტორიული (subnational) ერთეულები ექვემდებარებოდნენ გარკვეულ ფისკალურ შეზღუდვებს დიდი დეფიციტის თავიდან ასაცილებლად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანია, იტალია, იაპონია და ჰოლანდია გაერთიანდნენ სტაბილიზაციის პროგრამებში, ცენტრალურ და საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე ბიუჯეტის ბალანსის შეზღუდვების დაწესებით. მოგვიანებით, 70-80-იან წლებში დაგროვილმა გადაჭარბებულმა სახელმწიფო ვალმა მრავალი ქვეყანა აიძულა რაოდენობრივ შეზღუდვებზე გადასულიყვნენ. მათ შორის იყო ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და ზოგიერთი ლათინური ამერიკის ქვეყანა. ევროკავშირის წევრ და ასევე სხვა ევროპულ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე შეიქმნა საერთაშორისო ფისკალური შეზღუდვები (მაასტრიხტის

³ დადებითი კორელაცია ეკონომიკურ მდგომარეობასთან. მცირდება რეცესიის დროს, იზრდება ეკონომიკური აღმავლობის დროს.

ხელშეკრულება (1992), სტაბილურობისა და ზრდის პაკტი (1997)), რომელთა მიზანაც იყო შეეზღუდა სახელმწიფოები ეკონომიკური და მონეტარული კავშირებისათვის შეუსაბამო ფისკალური პოლიტიკის გატარებისაგან. ევროკავშირის ქვეყნებმა ძირითად ჩარჩოდ, უმეტესად, ეროვნული ფისკალური შეზღუდვები გამოიყენეს.

ევროგაერთიანების გამოცდილება

ამ ეტაპზე ფისკალური შეზღუდვების უმრავლესობა ნორმატიული ბაზით, ადგილობრივი კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით არის გამყარებული. მასტრიხტის ხელშეკრულება სწორედ ერთ-ერთი მათგანია. იგი შეთანხმებული იქნა 1990-91 წლებში და ხელი მოეწერა 1992 წლის 7 თებერვალს. მასტრიხტის ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი დებულებაა, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს უყენებს ბიუჯეტის დეფიციტისა და ვალის რაოდენობრივ ლიმიტებს. ევროკავშირის მიერ დადგენილი აღნიშნული ფისკალური შეზღუდვები 1970-1980-იანი წლების წარუმატებელი ფისკალური პოლიტიკის გამოძახილია, რომელსაც თავის დროზე თან ახლდა: მაღალი ბიუჯეტის დეფიციტი, მზარდი სახელმწიფო ვალი; პრო-ციკლური პოლიტიკური ტენდენცია; მზარდი საგადასახადო ტვირთი, რომელიც კიდევ უფრო ართულებდა სამუშაო ადგილების შექმნას (Butti, 2001).

მასტრიხტის ხელშეკრულება მოითხოვს სტაბილურ ფისკალურ მდგრადობას მისი წევრი სახელმწიფოებისაგან, რათა მოხდეს მათი ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში (ევროკავშირის წევრი ქვეყნების გაერთიანება, რომელთაც აქვთ საერთო ვალუტა – ევრო) გაწევრიანება. ამ მოთხოვნასთან შესაბამისობა ფასდება ისეთი კრიტერიუმებით, როგორცაა: ფასების სტაბილურობა, მთავრობის ფინანსური მდგრადობა, გაცვლითი კურსისა და გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის სიმყარე. ხელშეკრულება წევრ ქვეყნებს ავალდებულებს თავიდან აიცილონ ბიუჯეტის მაღალი დეფიციტები (Excess Budget Deficit).

საბიუჯეტო პოლიტიკის შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში ორი კრიტერიუმით ფასდება:

- არის თუ არა დეფიციტი მშპ-ის 3%-ზე ნაკლები;
- შეადგენს თუ არა სახელმწიფო ვალი მშპ-ის 60% -ზე ნაკლებს.

იმ შემთხვევაში თუ ეს პირობები არ სრულდება, მათ უნდა ჰქონდეს კლების ტენდენცია მაინც. ამასთანავე, ხელშეკრულება გამორიცხავს მთავრობის მიერ ხარჯების დაფინანსებას მონეტარული ინსტრუმენტებით და კრედიტზე პრივილეგირებულ ხელმისაწვდომობას. შეფასებისას, ჭარბი დეფიციტის არსებობის შემთხვევაში, ევროკომისიამ, რომელსაც ბიუჯეტის ზედამხედველობა აკისრია, საბჭოსთან ერთად უნდა განიხილოს აღმატება თუ არა დეფიციტი სახელმწიფო ინვესტიციებს და ასევე, სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ხდება ხელშეკრულებით დადგენილი გარკვეული პროცედურების გატარება, რათა წევრმა სახელმწიფოებმა დროულად მიიღონ გადამჭრელი ზომები. თუ ზემოთაღნიშნული გაფრთხილება უგულვებელყოფილ იქნა ან ვერ მოხერხდა პრობლემის მოგვარება განსაზღვრულ დროში, ქვეყანას შეიძლება დაეკისროს გარკვეული სანქციები.

მაშინ როდესაც მასტრიხტის ხელშეკრულება აწესებს განსაზღვრულ პირობებს წევრი ქვეყნებისთვის, რათა ისინი შეუერთდნენ ერთიან სავალუტო სისტემას, სტაბილურობისა და ზრდის პაქტი (Stability and Growth pact) მიზნად ისახავს გახადოს მდგრადი ფისკალური დისციპლინა ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მუდმივი მახასიათებელი. აღნიშნული პაქტის შექმნის ინიციატივა 1995 წელს გერმანიის მთავრობამ გამოთქვა. რიგ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკებების შემდგომ, საბოლოო შეთანხმების საფუძველზე, 1997 წლის 12 ივნისს, ევროსაბჭომ მიიღო სტაბილურობისა და ზრდის პაქტი.

სტაბილურობისა და ზრდის პაქტი შედგება პრევენციული (preventive arm) და მაკორექტირებელი (dissuasive arm) რეგულაციებისაგან. პრევენციული რეგულაციები მიზნად ისახავს გააძლიეროს ზედამხედველობა საბიუჯეტო პროცესზე ან ფისკალურ დისციპლინაზე, ასევე თვალყური ადევნოს და კოორდინაცია გაუწიოს ეკონომიკურ პოლიტიკას. მაკორექტირებელი კი ცდილობს დააჩქაროს და გაამარტივოს გადაჭარბებული დეფიციტის დამარეგულირებელი პროცედურების გატარება (მასტრიხტის ხელშეკრულება).

საბოლოოდ, სტაბილურობისა და ზრდის პაქტი ავსებს მასტრიხტის ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიიღება უკეთესი ფისკალური შეზღუდვები და მარეგულირებელი პროცედურები. თუმცა, გარკვეულწილად, ეს ხდება მეტი სირთულისა და ნაკლები მოქნილობის ხარჯზე.

მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ სტაბილურობისა და ზრდის პაკტი ისეთივე მნიშვნელოვანი და წარმატებულია პრაქტიკაში, როგორც თვითონ მასტრიხტის ხელშეკრულება.

2011 წელს ევრო კავშირმა მიიღო საკანონმდებლო დებულებების კომპლექტი (six-pack) სტაბილურობისა და ზრდის პაკტის რეფორმირებისათვის, რომელიც მიმართულია მაკროეკონომიკური და საბიუჯეტო დისბალანსის აღმოსაფხვრელად და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მაკროეკონომიკურ და საბიუჯეტო ზედამხედველობის გასაძლიერებლად. კომპლექტი შედგება ევროკავშირის ხუთი რეგულაციისა და ერთი დირექტივისაგან და მოიცავს: საბიუჯეტო მდგომარეობისა და ეკონომიკური პოლიტიკის ზედამხედველობის გაძლიერებასა და კოორდინირებას, გადაჭარბებული დეფიციტის მაკორექტირებელი პროცედურების დაჩქარება-განხორციელებას, მაკროეკონომიკული დისბალანსის თავიდან აცილებასა და გამოსწორებას და მითითებას, წევრი ქვეყნების საბიუჯეტო ჩარჩოების მოთხოვნების შესრულებაზე. აღნიშნული საკანონმდებლო დებულებების მიზანია, თავიდან იქნას აცილებული საბიუჯეტო დისბალანსი მათ წარმოქმნამდე ან გამოსწოროს ისინი მას შემდეგ რაც წარმოიქმნება.

2011 წლის ნოემბერში ევროკომისიამ წარადგინა შემდგომი ორი დებულება (two-pack) ევროზონის წევრი ქვეყნების ფისკალური პოლიტიკის მმართველობისა და ზედამხედველობის შესახებ, შესაბამისი six-pack-ის დებულებების გასაძლიერებლად. აღნიშნული დებულებები გულისხმობს: ბიუჯეტის პროექტის მონიტორინგსა და შეფასებას და ზედმეტი დეფიციტის კორექტირების უზრუნველყოფას ევროზონის ქვეყნებში; ეკონომიკური და საბიუჯეტო ზედამხედველობის გაძლიერებას იმ წევრ ქვეყნებში, რომელთა ფინანსურ სტაბილურობასაც საფრთხე ემუქრება ან უკვე ხასიათდებიან ფინანსურ არასტაბილურობით.

2012 წლის ივნისში ევროსაბჭომ გადაწყვიტა შეეცაო ეკონომიკური და ფისკალური მმართველობისა და ზედამხედველობის დებულებები ეკონომიკის სტიმულირების დებულებებით. ამ მიზნით, მიღებული იქნა „შეთანხმება ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაზე“ (Compact for Growth and Jobs), რომელიც მიზნად ისახავს უმუშევრობის დაძლევისა და ახალი ბაზრების განვითარებას.

ეროვნული ფისკალური შეზღუდვები

შვეიცარიის “ვალის მუხრუჭი” (Swiss Debt Brake)

ფისკალური შეზღუდვების ერთ-ერთი თანამედროვე საინტერესო მაგალითია შვეიცარიის “ვალის მუხრუჭი”, ანუ ვალის შეჩერების მექანიზმი. იგი შემოღებული იქნა 2003 წელს. ამ შეზღუდვამ მნიშვნელოვნად შეცვალა საბიუჯეტო პროცესი და საფუძველი ჩაუყარა ფისკალური პოლიტიკის მიზნების უკეთესად განხორციელებას. ამ წარმატების გამომწვევი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, ხარჯებზე დაწესებული ზღვრები აღმოჩნდა. აღნიშნულმა ფისკალურმა შეზღუდვამ დიდი წვლილი შეიტანა ვალის შემცირების პროცესში.

90-იანი წლების პროცესული ფისკალური პოლიტიკის გამო ბიუჯეტის დეფიციტმა შვეიცარიაში გადააჭარბა სტაბილურობისა და ზრდის პაქტით დადგენილ ლიმიტს და მშპ-ის 5% შეადგინა. ხოლო სახელმწიფო ვალის კოეფიციენტი მშპ-სთან მიმართებაში 50%-ს გადააჭარბა. დეფიციტური ბიუჯეტით ხასიათდებოდა ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკური აღმავლობის პერიოდშიც, რადგან მთავრობა ბიუჯეტის მიერ მობილიზებულ შემოსავლებს ახალი ამოცანებისა და პროექტების განხორციელებაში მიმართავდნენ. რის შედეგადაც, რეცესიის დროს ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის გარდაუვალ შემცირებებს. მოვლენების ამდაგვარმა განვითარებამ წარმოშვა სწორი ფისკალური სტიმულების ჩამოსაყალიბებლად ფისკალური შეზღუდვების შემოღების აუცილებლობა. შვეიცარიის მთავრობის აბსოლუტური უმრავლესობის გადაწყვეტილებით 2003 წელს ძალაში შევიდა ვალის შეზღუდვა. შეზღუდვით განსაზღვრულ იქნა დადებითი სტრუქტურული ბალანსის მიზანი. დაწესდა მკაფიო მიზნობრივი მაჩვენებლები დეფიციტისა და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილისათვის. შეზღუდვის მოთხოვნებიდან შესაძლო გადახრების უზრუნველსაყოფად ასევე განსაზღვრა გარკვეული საშუალოვადიანი მოთხოვნები ბიუჯეტის აგრეგატებისა და მათი ზრდის/კლების ტენდენციების მაჩვენებლებზე. ვალის მუხრუჭმა მთლიანად შეცვალა საბიუჯეტო პროცესი. მის მოქმედებაში შესვლამდე მხარჯავი უწყებების მიერ საბიუჯეტო განაცხადების წარდგენა ხორციელდებოდა ინდივიდუალურად და დიდი რაოდენობით საბიუჯეტო განაცხადებში რთულდებოდა ცვლილებების შეტანა დროის სიმცირის გამო. შეზღუდვის დახმარებით საბიუჯეტო პროცესი ვერტიკალური მენეჯმენტის (top-down) სისტემად გადაიქცა, სადაც მიზნები წინასწარ არის განსაზღვრული და შემდგომში ნაწილდება ცალკეულ მხარჯავ დაწესებულებებზე.

შედეგად, დეფიციტური ბიუჯეტიდან შვეიცარია გადავიდა პროფიციტულ ბიუჯეტზე და ფედერალური ვალი არამართო დასტაბილურდა, არამედ კლებაც დაიწყო. 2012 წლისათვის კი, ვალმა 12 მილიარდით, ხოლო მშპ-სთან მიმართებაში 28.2%-დან 19.5%-მდე შემცირდა. მაკრო დონეზე, ფისკალური შეზღუდვების მიზანი, ეკონომიკურ ციკლებზე მორგებული საბიუჯეტო ბალანსია. შეზღუდვები უშუალო ზემოქმედებას ახდენს გადასახდელებისა და შემოსულობების მუხლებზე. თუმცა, შეზღუდვები ამავდროულად, მიკრო დონეზეც ვრცელდება. შესაბამისად, მას ცვლილებები შეაქვს ბიუჯეტის კონკრეტულ ნაწილებშიც. ამის საფუძველზე, შეიძლება გაჩნდეს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ შვეიცარიის მუხრუჭის სწრაფი დადებითი შედეგები გამოწვეული იყო ბიუჯეტის კონკრეტულ ნაწილებში განხორციელებული ცვლილებებით, კერძოდ კი, საინვესტიციო ხარჯების შემცირებით. თეორიაში, საინვესტიციო ხარჯები დიდი რისკის ქვეშ დგას, როდესაც საქმე ბიუჯეტის კონსოლიდაციას ეხება, რადგან მისი შემცირება სწრაფად და მარტივად შეიძლება და შემცირების შედეგები მალევე არ გამოვლინდება. თუმცა, დღევანდელი გადმოსახედიდან ნათლად ჩანს, რომ “ვალის მუხრუჭის” მექანიზმის დადებითი ეფექტი არ იყო განპირობებული საინვესტიციო ხარჯების შემცირებით, რადგან ათწლეულის შემდეგაც კი საინვესტიციო ხარჯების მაჩვენებელი სტაბილურია.

გერმანიის „ვალის მუხრუჭი“ (Swiss Debt Brake)

გერმანია ფისკალური შეზღუდვების, კერძოდ კი ვალის შეზღუდვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია. 2009 წელს გერმანიაში დაინერგა ფისკალური შეზღუდვა, რომელიც კრძალავს ახალი სესხის აღებას (წმინდა ვალდებულებების ზრდას). მას "ვალის მუხრუჭი" ეწოდება. ის მოიცავს შეზღუდვებს სტრუქტურული დეფიციტის შესახებ, ორივე, ფედერალურ (დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 0.35%-ს) და საოლქო (დაბალანსებული დეფიციტი) დონეზე. ოლქების მხრიდან შეზღუდვის ლიმიტების დარღვევა გარკვეულ სანქციებთან არის დაკავშირებული. გამონაკლისია ის ოლქები, რომლებიც დროებით ფინანსურ დახმარებას იღებენ, რადგან მიჩნეულია რომ მათ საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ დაბალანსებული ბიუჯეტის მიღწევა 2020 წლამდე. თუმცა, მათ ევალებათ

ყოველწლიური, კლებადი დეფიციტის ზღვრების შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მათთვის ფინანსური დახმარების შეწყვეტა.

გერმანიის „ვალის მუხრუჭი“ მრავალი ეკონომისტის განხილვის საგანი გახდა. ერთის მხრივ, შეზღუდვა დაბალანსებულად და ეფექტიანად ითვლება მის წინამორბედ შეზღუდვასთან შედარებით, რომელიც „ოქროს წესზე“ იყო დაფუძნებული და 1991–2005 წლებში ფედერალურ დონეზე 7-ჯერ, ხოლო საოლქო დონეზე 68-ჯერ დაირღვა. მიუხედავად ამისა, ეკონომისტების აზრით, არც ახალი შეზღუდვა წარმოადგენს სრულყოფილ მექანიზმს. შეზღუდვა გამორიცხავს ეფექტური სანქციების არსებობას. მსგავსი რეფორმები მოითხოვს ოლქებისთვის საგადასახადო ავტონომიის გაზრდას, რაც საშუალებას მისცემს მათ გაზარდონ შემოსავლები და გადაიხადონ დაკისრებული ჯარიმები. რადგან, გერმანიის შემთხვევაში, ოლქები ამ შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ, თავისთავად გამოირიცხებოდა ეფექტური მონეტარული სანქციების დაწესება. გარდა ამისა, ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრები განსაზღვრული იქნა ცენტრალურ და საოლქო დონეზე და არ ითვალისწინებს სოციალური დაცვის სისტემებისა (social security systems) და მუნიციპალურ დონეზე დეფიციტებს. ორივე მათგანის მიერ აკუმულირებული გადასახადები საოლქო ბიუჯეტის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ რაც შეეხება სესხს, მათ მუნიციპალურ დონეზე სესხის დამოუკიდებლად აღების შესაძლებლობა გააჩნიათ.

გერმანიის მაგალითი ადასტურებს მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ვალის შეზღუდვები არ წარმოადგენს ეფექტიანი ფისკალური შეზღუდვების გარანტიას. ისეთ ფედერალურ სახელმწიფოებში, როგორც არის გერმანია, ის შეიძლება გახდეს დემოტივაციის მიზეზი, რადგან ოლქები, ვალის მუხრუჭის მოქმედების დროსაც კი იყენებენ თავიანთ კონსტიტუციურ და ფისკალურ ავტონომიას. დეტალური ანალიზი ნათელს ხდის, რომ ოლქები, რომლებსაც დიდი რაოდენობის ვალი აქვთ, ან იღებენ ფინანსურ მხარდაჭერას, არ ცდილობენ დააკმაყოფილონ ვალის მუხრუჭის მოთხოვნები, რადგან მათ თავიდანვე დაკარგული აქვთ შესაძლებლობა თავიანთი ფისკალური პოლიტიკა მოკლე დროში უფრო სანდო გახადონ.

ემპირიული კვლევები

ემპირიული კვლევების თანახმად, ფისკალური შეზღუდვები ძირითადად დახვეწილ ფისკალურ პოლიტიკასთან ასოცირდება. ეროვნული ფისკალური შეზღუდვების შესახებ

ყველაზე სრულყოფილი ანალიზი/კვლევა ჩატარებული იქნა ევროკავშირის ქვეყნებში, ევროკომისიის მიერ შეგროვებულ დეტალურ მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევების ძირითადი შედეგები შემდეგია:

- ევროკავშირის ქვეყნებში გამოყენებული ფისკალური შეზღუდვები მჭიდროდაა დაკავშირებული ციკლურ ბალანსთან. კავშირი სუსტდება, როდესაც ფისკალური შესრულება იზომება ვალის მშპ-თან თანაფარდობის ცვლილების მიხედვით. ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს ის, რომ აღრიცხვაში ადგილი აქვს ინფორმაციის დაფარვას შეზღუდვის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.
- რაც შეეხება ფისკალური შეზღუდვების სახეებს, ბიუჯეტის ბალანსისა და ვალის შეზღუდვებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბიუჯეტო პროცესის დახვეწა-განვითარებაში, მაშინ როცა ხარჯვითმა შეზღუდვებმა მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხა ლიმიტებით გათვალისწინებული ხარჯების შეკავება.
- შეზღუდვები, რომლებიც ცენტრალურ დონეზე ვრცელდება, უფრო მტკიცე ფისკალურ დისციპლინასთან არის დაკავშირებული, ვიდრე ადგილობრივ თვითმმართველობებზე მორგებული შეზღუდვები.
- შეზღუდვებისათვის დამახასიათებელი დახვეწილი იურიდიული ბაზა და მკაცრი ლიმიტები, განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა ფისკალური პოლიტიკის შესრულებისთვის.

ფისკალური შეზღუდვები ასევე მიჩნეულია ფისკალური კონსოლიდაციის წარმატების განმაპირობებელ ფაქტორად. OECD-ის წევრ ქვეყნებში, ეროვნულ ან საერთაშორისო ფისკალურ შეზღუდვებთან ერთად, ფისკალური კონსოლიდაციების ზომა გაცილებით დიდი იყო, ვიდრე მათ გარეშე. ასევე, ემპირიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში დიდი დაფარვის არეალის მქონე და მკაცრი შეზღუდვები ასოცირდება წარმატებული ფისკალური კონსოლიდაციის უფრო დიდ ალბათობასთან (ევროკომისია 2007).

ეკონომეტრიკული კვლევა იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს ლიმიტებს კონსოლიდაციაზე (დადებითი თუ უარყოფითი) ევროკავშირის ქვეყნებში, არ გვაძლევს ნათელ შედეგებს, რადგან კვლევის თანახმად, შეზღუდვებს მცირე გავლენა აქვს

კონსოლიდაციაზე. თუმცა ალბათობა იმისა, რომ ლიმიტებს ჰქონდეს ძლიერი, ვიდრე თანმიმდევრული გავლენა, უფრო დიდია. (Larch and Turrini, 2008)

განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა ბიუჯეტის ბალანსისა და ხარჯების შეზღუდვების კომბინირება. ამ მეთოდს ხშირ შემთხვევაში იმ ქვეყნებში ვხვდებით, რომელთაც შეზღუდვების გამოყენების დიდი პრაქტიკა გააჩნიათ. ამ ლიმიტებს აქვთ დიდი დაფარვის არეალი, ძლიერი მონიტორინგის მექანიზმები და მათთვის დამახასიათებელია მკაცრი შეზღუდვები რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე.

რაც შეეხება ნორმატიულ საფუძველს, მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები იქნა მიღწეული სხვადასხვა მიდგომების შედეგად: ზოგ ქვეყანაში შეზღუდვები კანონით არის გათვალისწინებული (მაგ, ესპანეთი, შვეიცარია, აშშ), ზოგან კი განსაზღვრულია როგორც პოლიტიკური შეთანხმებების ნაწილი (მაგ, დანია, ფინეთი, ნიდერლანდები, შვედეთი).

მიუხედავად დადებითი ემპირიული შეფასებისა, ასევე აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას საფრთხეები, რომელსაც შეიძლება პრაქტიკაში წავაწყდეთ. კერძოდ, შესაძლოა ფისკალურ შეზღუდვებსა და გაუმჯობესებულ ფისკალურ შესრულებაზე ზეგავლენას ახდენდეს გამოტოვებული ცვლადები, მაგ: პოლიტიკური ან საბიუჯეტო ინსტიტუტები და პროცესები. შედეგად, სტანდარტული შეფასებით მივიღებთ არასწორ შედეგებს: გამოტოვებული ცვლადის გავლენა მიეწერება ფისკალურ შეზღუდვებს. ასეთი ცვლადის მაგალითი შეიძლება იყოს ფისკალური დისციპლინის მიერ აღებული პოლიტიკური ვალდებულებები, რომელსაც ორივე ფაქტორზე, შეზღუდვებსა და ფისკალურ შესრულებაზე, ექნება გავლენა, თუმცა, რადგან ის მოდელში არ გვხვდება და წარმოადგენს გამოტოვებულ ცვლადს, მისი გავლენა მიეწერება ფისკალურ შეზღუდვებს.

პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს ასევე “მიზეზ-შედეგობრივი უკუკავშირი” (reverse causality) პრობლემა. გაუმჯობესებული ფისკალური შესრულება შეიძლება იყოს ფისკალური შეზღუდვების დანერგვის მიზეზი, იმისათვის რომ კონსოლიდაციაში მიღწეული შედეგები შენარჩუნდეს.

სამწუხაროდ, არ არსებობს სრულად დამაკმაყოფილებელი ემპირიული მიდგომა, რომელიც რომელიც გაითვალისწინებს და გაზომავს ყველა შესაძლოა ცვლადს, მათ შორის აღებულ ვალდებულებებს, საბიუჯეტო პროცესებსა და პროცედურებს, რომლის რაოდენობრივად გამოსახვა საკმაოდ რთულია.

დასკვნა: ეფექტიანი ფისკალური შეზღუდვების წინაპირობები

ზემოაღნიშნული პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვყოთ ეფექტიანი ფისკალური შეზღუდვების სამი ძირითადი კომპონენტი. ეს კომპონენტები განსაკუთრებით გამოყენებადია საჯარო ფინანსებისა სუსტი მართვისა და გაურკვეველი მაკროეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის პირობებში.

- ცალსახა და მდგრადი ურთიერთკავშირი რაოდენობრივ მიზანსა და საბოლოო შედეგს შორის. მაგალითად, როგორცაა ვალის მდგრადობა.
- საკმარისი მოქნილობა, რათა რეაგირება მოახდინოს რყევებზე და მის მიერ გამოწვეული უარყოფითი მაკროეკონომიკული მოვლენები კიდევ უფრო არ გაამწვავოს. ქვეყნის მდგომარეობის მიხედვით, მოქნილობა შესაძლოა საჭირო გახდეს ინფლაციის, საპროცენტო განაკვეთის, გაცვლითი კურსისა და სხვა მოულოდნელ რყევებთან გამკლავებისათვის.
- ნათელი ინსტიტუციონალური მექანიზმი, რომელიც აჩვენებს რაოდენობრივი მიზნებიდან გადახვევას და წახალისებს მაკორექტირებელ ქმედებებს. აღნიშნული შეიძლება მიღწეული იქნას შეზღუდვაში გარკვეული ვადების, სტრატეგიის დარღვევის შემთხვევაში მაღალი ფინანსური ჯარიმებითა და იძულებითი პროცედურების გაერთიანებით.

ამასთან, ფისკალური კონსოლიდაციისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობისკენ გადადგმული ნაბიჯები თავის მხრივ შეიძლება გახდეს ფისკალური შეზღუდვების დანერგვის/გამკაცრების სტიმული მიღწეული შედეგების შესანარჩუნებლად. აღნიშნულ მაგალითად შეიძლება დასახელდეს მექსიკა და ესპანეთი, რომელთაც ფისკალური შეზღუდვები მასშტაბური ფისკალური კონსოლიდაციის შემდეგ შემოიღეს. სხვა ქვეყნებში, რეგულირების შედეგების შესანარჩუნებლად გაძლიერდა უკვე არსებული შეზღუდვები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2009 წლის კვლევის თანახმად, ქვეყნებს, რომელთაც მოახერხეს სახელმწიფო ვალის თანაფარდობა ბოლო სამი წლის განმავლობაში ორ პროცენტზე მეტით შეემცირებინათ, სხვა ქვეყნებთან შედარებით ორჯერ მეტი ალბათობა აქვთ, რომ შეზღუდვებს შემოიღებენ. კონსოლიდაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები შესაძლოა გახდეს შეზღუდვების დანერგვის ან გამკაცრების წინაპირობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Annett, A. "Enforcement and the Stability and Growth Pact: How Fiscal Policy Did and Didn't Change under Europe's Fiscal Framework." 2005. International Monetary Fund, European Department.

Fiscal Affairs Department. "Fiscal Rules—Anchoring Expectations for Sustainable Public Finances". 2009. International Monetary Fund.

Heinemann, F. "Debt rule federalism: The case of Germany". 2012. Center for European Economic Research.

Buti, M. Giudice, G. "Maastricht's Fiscal Rules at Ten". 2002. European Commission.

Novak, J. "Next Generation State Budgets: Stronger Fiscal Rules for Better Budgetary Outcomes and More Prosperous States." 2011. Institute of Public Affairs.

Schick, A. "The Role of Fiscal Rules in Budgeting." 2003. *OECD Journal on Budgeting*.

Schuknecht, L. "EU Fiscal Rules: Issues and Lessons from Political Economy." 2004. European Central Bank.

Beljean, T. Geie, A. "The Swiss debt brake – has it been a success?" *The Swiss Debt Brake – Ten Years*. 2012. Federal Finance Administration.